

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სპეციალობა – სტომატოლოგია;

პროგრამის მოცულობა კრედიტებში--300 კრედიტი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - დიპლომირებული სტომატოლოგი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სტომატოლოგიის პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში სტომატოლოგიის ფაკულტეტზე, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს.

სწავლების ენა - ქართული ;

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულთა სტომატოლოგიური პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული საფუძვლების ცოდნასა და კლინიკური უნარ-ჩვევების ფლობას პირის ღრუს ორგანოების და ყბა-კბილთა სისტემის დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

პროგრამის მიზანია აღზარდოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგები, რომლებიც შეძლებენ შემდგომ პროფესიულ განვითარებას, კერძოდ, რეზიდენტურაში სწავლის გაგრძელებას, უმცროს ექიმად მუშაობას ან კვლევითი საქმიანობის განხორციელებას მედიცინის თეორიულ დარგებში ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროებში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას.

სწავლის შედეგი - კურსდამთავრებულს ეცოდინება: ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები, ბიონაერთები, კლასიფიკაცია და მეტაბოლიზმი; ნივთიერებათა ცვლის პროცესები და ციკლები ადამიანის ორგანიზმში; პირის ღრუს ორგანოთა და კბილების ემბრიოლოგია, ანატომია, პათოლოგიური ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია, პათოლოგიური ფიზიოლოგია. ბავშვებისა და მოზრდილთა ყბა-სახის მიდამოს ანთებადი და არაანთებადი, მაგარი და რბილი ქსოვილის, სიმსივნური დაავადებების, ორთოპედიული და ტრავმული

დაზიანებების, სახის მიდამოს პერიფერიული ნერვული სისტემის, სპეციფიური, ინფექციური, ალერგიული და სისტემური დაავადებების ფონზე მიმდინარე ცვლილებები, კლასიფიკაცია, კლინიკური მიმდინარეობა, დიაგნოსტიკა, დიფ.დიაგნოსტიკა; კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის მეთოდები; ბავშვთა ასაკში კბილების რესტავრაცია და სარესტავრაციო მასალების კლასიფიკაცია; ორთოდონტია, ყბა-კბილთა სისტემის ანომალიები და ბავშვთა პროთეზირება. ბავშვთა და მოზრდილთა სტომატოლოგიური სამსახური და დაავადებათა პროფილაქტიკა; ჰიგიენური ღონისძიებები; ძირითადი თერაპიული და ქირურგიული დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური მიმდინარეობა და მკურნალობის მეთოდები.

კურსდამთავრებულს შეეძლება: ავადმყოფის გამოკვლევა, პირის ღრუს პათოლოგიების დიფერენცირება; დაზიანებების ხარისხის განსაზღვრა; ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება; ფუნქციური სინჯებისა და მეთოდთა ჩატარება ჩვენების მიხედვით. კარიესული და არაკარიესული დაავადებების დიაგნოსტიკა და სამკურნალო სქემის შემუშავება; საბჟენ-სარესტავრაციო მასალათა შერჩევა, დამზადება და დაბჟენა ფანტომებზე, ექიმის ასისტირება. პროთეზირებისათვის მომზადება და მასალების შერჩევა; ანაბეჭდის აღება, საპროთეზო მოდელების დამზადება; თერაპიული და ქირურგიული ავადმყოფების გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დიფ.დიაგნოზის ჩატარება და დიაგნოსტიკა; სამკურნალო და პროფილაქტიკური მანიპულაციების ჩატარება. პაციენტის ფსიქოლოგიური და ქცევითი თავისებურებების გათვალისწინებით მასთან ეფექტური ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია. მონაცემების შეგროვება და ინტეგრირება, ანალიზი, არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა. საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და პროფესიული კუთხით გამოყენება. მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალიზაციის უნარი ახალ გარემოში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - შუალედური შეფასებები, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 14 ქულით.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (**A**) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91%–100%;
- ა.ბ) (**B**) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- ა.გ) (**C**) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- ა.დ) (**D**) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა.ე) (**E**) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (**FX**) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (**F**) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

